# ახალი ხარაგაული

№439 (13) 18 ოქტომბერი, 2021 წ.


## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი გახდა



ხარაგაულის მოსახლეობამ, უკვე მესამედ, მერის თანამდებობაზე ნდობა კვლავ კობა ლურსმანაშვილს გამოუცხადა. ორ ოქტომბერს გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ლურსმანაშვილმა ხმების 57,52 % (7011 ხმა) მიიღო.

ინფორმაციისათვის: კობა ლურსმანაშვილი 2013-2016 წ.წ. გახლდათ ხარაგაულის გამგებელი.

2016 წელს არჩეულ იქნა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატად.

2020 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნებზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად.

კობა ლურსმანაშვილი კარგად იცნობს ხარაგაულის მოსახლეობის პრობლემებს და მუნიციპალიტეტში მის სახელს არაერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტის განხორციელება უკავშირდება.

,,სრულიად საქართველოს ვულოცავ იმ დიდ გამარჯვებას, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ღირსეულად და დამაჯერებლად მოიპოვა. განსაკუთრებული მადლობა ხარაგაულელ ამომრჩევლებს, რომლებმაც ხმა მისცეს ქვეყნის უკეთეს მომავალს, მშვიდობას, თავისუფლებასა და სტაბილურობას. არჩევნებზე გვქონდა წარმატებული შედეგი, რაც ნამდვილად დასაფასებელია. ნდობა მოსახლეობის 57.52%-მა გამომიცხადა და, ბუნებრივია, როდესაც ასეთ მხარდაჭერასა და გვერდში დგომას გრძნობ, მონდომება და პასუხისმგებლობის გრძნობა უფრო დიდია. როგორც ყოველთვის, შემდეგი ოთხი წელი ჩვენ ორიენტირებული ვიქნებით ხარაგაულის განვითარებაზე. ყოველი დღე, წუთი, საათი დახარჯული იქნება იმისათვის, რომ, რაც შეიძლება, მეტი სარგებელი მოვუტანოთ მუნიციპალიტეტს. კვლავ პრიორიტეტული მიმართულებები იქნება: ჯანდაცვა, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პრობლემების მოგვარება. ამასთანავე მაქსიმალურ ყურადღებას დავუთმობთ ინფრასტრუქტურის განვითარებას, როგორებიცაა: გზების მოწესრიგება, წყლის სისტემების, გარე განათებისა და გაზიფიცირების საკითხები.

ვფიქრობ, რომ ერთობლივი ძალებით ყველაფერი კარგად გამოგვივა, კოორდინირებულად ვიმუშავებთ საკრებულოსთან. მთავარია, რომ ,,ქართული ოცნება“, ხარაგაულის ადგილობრივ ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვიდა. თერთმეტივე სამაჟორიტარო ოლქში გავიმარჯვეთ, პროპორციული სიით 13 მანდატი მივიღეთ. ჯამში, ხარაგაულის საკრებულო 33 დეპუტატით დაკომპლექტდება, მათგან 24 - პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრები იქნებიან.

ხარაგაულის აღმასრულებელი ხელისუფლების კარი ღიაა თითოეული მოქალაქისათვის. ჩვენ ყოველთვის ვიქნებით მათ გვერდით და მათი პრობლემების მოგვარებაში უფრო მეტად დავიხარჯებით. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მოვახერხეთ, ბევრი რამ შეგვეცვალა უკეთესობისკენ. ეს ტემპი, რა თქმა უნდა, კვლავ გაგრძელდება და უმოკლეს დროში სრულიად განსხვავებული ხარაგაული გვექნება.“ - აცხადებს კობა ლურსმანაშვილი.

## ხარაგაულის საკრებულოში მანდატების უმრავლესობა ,,ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა




ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულოში ოთხი პოლიტიკური პარტია იქნება წარმოდგენილი და 33 დეპუტატით დაკომპლექტდება. მათგან თერთმეტი მაჟორიტარული წესით არჩეული იქნება, 22 კი - პროპორციული წესით. აქვე გეტყვით, რომ მანდატების უმრავლესობა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ“ მოიპოვა. თერთმეტივე სამაჟორიტარო ოლქში მმართველი პარტიის კანდიდატებმა გაიმარჯვეს. პროპორციული სიით კი მანდატები ასე გადანაწილდა:

**„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - 13 მანდატი;**

1.მანანა ბარბაქაძე;
2.გოჩა გიორგიძე;
3.ავთანდილ კვინიკაძე;
4.მარინე ხვედელიძე;
5.ოთარ ლურსმანაშვილი;
6.პაატა გოგოლაძე;
7.ნონა ზურაბიანი;
8.შალვა ლურსმანაშვილი;
9.ამირან ოქრომჭედლიძე;
10.ეკატერინე შველიძე;
11.უშანგი ბერაძე;
12.ავთანდილ ვეფხვაძე;
13. ირმა სებისკვერაძე;

**,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-6 მანდატი;**

1.თორნიკე ავალიშვილი;
2.კობა გოგსაძე;
3.ქეთევან ზუმბაძე;
4.ბაქარ ბარბაქაძე;
5.თამაზ ლომიძე;
6.ირმა ალხაზიშვილი.

**,,გახარია-საქართველოსთვის“-2 მანდატი;**

1.კონსტანტინე ბერაძე;
2.ირმა ვეფხვაძე.

**,,ლელო“-1 მანდატი.**

1.ომარ გაგოშიძე.

აქვე გეტყვით, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ“ - 54,825 % (6727 ხმა) მიიღო, ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ -26,471% (3248 ხმა), „გახარია - საქართველოსთვის“ - 6,846% (840 ხმა), „ლელომ“ -4,751 % (583 ხმა).

## ხარაგაულის თერთმეტივე სამაჟორიტარო ოლქში ,,ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს

ხარაგაულის თერთმეტივე სამაჟორიტარო ოლქში ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა პირველივე ტურში გაიმარჯვეს.

დაბა ხარაგაული– ბესიკ კვირიკაშვილი;
კიცხი-ფარცხნალი– კიაზო გამრეკელაშვილი;
ვარძია-წყალაფორეთი – ხიდარი– შმაგი ხიჯაკაძე;
ლაშე-სარგვეში-ღორეშა-ბაზალეთი - პავლე კიკალიშვილი;
ბორითი– იამზე პაქსაშვილი;
ხუნევი– ლენა აბაშიძე;
ნადაბური-ხევი– დოდო ხაჩიძე;
ზვარე-წიფა-ვახტანგ ტალახაძე;
ვახანი-ლელვანი– ვერა ოდიკაძე;
მოლითი– მერაბ ტალახაძე;
საღანძილე– დავით კიკნაძე;

გთავაზობთ ყველა კანდიდატის მონაცემებს უბნების მიხედვით:

**დაბა ხარაგაული**

N1 - პარტია ,,მესამე ძალა“ - გიორგი გელაშვილი - 17 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ბაქარ ბარბაქაძე - 421 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - თეიმურაზ ფცქიალაძე - 35 ხმა;
N9 - ,,ლელო“ - მაია შავიძე - 25 ხმა;
N25 – „გახარია-საქართველოსთვის“ - ვახტანგ ჭანკვეტაძე - 80 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - ბესიკ კვირიკაშვილი - 650 ხმა.

**კიცხი, ფარცხნალი**

N1 - ,,მესამე ძალა“ - ბესარიონ ვეფხვაძე - 28 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ჯაბა ჩაჩანიძე - 322 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ალექსანდრე გიორგაძე - 0 ხმა;
N9 - ,,ლელო“ - ვიტალი ორლოვი - 152 ხმა;
N25 – „გახარია -საქართველოსთვის“ - ზურაბ გიორგიძე - 112 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კიაზო გამრეკელაშვილი - 847 ხმა.

**ვარძია, წყალაფორეთი, ხიდარი**

N1 - ,,მესამე ძალა“ -ფრიდონ ვეფხვაძე - 7 ხმა;
N2 - ,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“- ზურაბ ხიჯაკაძე - 14 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - კობა გოგსაძე - 428 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ბერაძე - 13 ხმა;
N9 - ,,ლელო“ - საშიკო ხიჯაკაძე - 109 ხმა;
N25 – „გახარია- საქართველოსთვის“ -კონსტანტინე ბერაძე- 230 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ -შმაგი ხიჯაკაძე - 856 ხმა;

**ლაშე, სარგვეში, ღორეშა, ბაზალეთი**

N2 - ,,ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის“ - აკაკი მაჭავარიანი - 73 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ნანა გორგაძე- 330 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - მერაბ კალანდაძე - 30 ხმა;
N25 – „გახარია-საქართველოსთვის“ - კახა კამკამიძე - 87 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“- პავლე კიკალიშვილი - 1061 ხმა.

**ბორითი**

N1 - ,,მესამე ძალა“ - ლატავრა ჩინჩალაძე - 10 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ქეთევან ზუმბაძე - 407 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - თამარ წიქარიშვილი - 28 ხმა;
N9 - ,,ლელო“- ნიკოლოზ ბირკაძე - 25 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-იამზე პაქსაშვილი - 662 ხმა.

**ხუნევი**

N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - თამაზ ლომიძე - 201 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - თემურ ბლიაძე - 16 ხმა;
N9 - ,,ლელო“ - ომარ გაგოშიძე- 10 ხმა;
N25 – „გახარია-საქართველოსთვის“ - გივი მაისურაძე - 233 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“- ლენა აბაშიძე - 529 ხმა.

**ნადაბური, ხევი**

N1 - ,,მესამე ძალა“ - ლილი გელაშვილი - 8 ხმა;
N2 - ,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“- ვეფხვია გრიგალაშვილი - 66 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ბადრი ხაჩიძე - 285 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ამირან გოგოლაძე - 7 ხმა;
N9 - ,,ლელო“ - ჯონი ცისკაძე - 13 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ - დოდო ხაჩიძე - 424 ხმა.

**ზვარე, წიფა**

N1 - ,,მესამე ძალა“ - გიორგი ლაცაბიძე - 167 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - თეიმურაზ მაღლაკელიძე - 341 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ვალერი ფანქველაშვილი - 0 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - ვახტანგ ტალახაძე - 408 ხმა.

**ვახანი, ლელვანი**

N1 - ,,მესამე ძალა“- ბესიკ ლაცაბიძე - 30 ხმა;
N2 - ,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“- ზურაბ ხიჯაკაძე - 0 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ზვიად არევაძე - 223 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - გიორგი შარიქაძე - 25 ხმა;
N9 - ,,ლელო“ - ინგა მაღრაძე - 142 ხმა;
N25 – „გახარია-საქართველოსთვის“ - ამირან მაღრაძე - 32 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“- ვერა ოდიკაძე - 593 ხმა.

**მოლითი**

N1 - ,,მესამე ძალა“ - შავლეგ ჭყოიძე - 10 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ზოია ტალახაძე - 183 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - იოსებ კიკნაძე - 0 ხმა;
N9 - ,,ლელო“ - ქეთევან ლაცაბიძე - 23 ხმა;
N25 – „გახარია-საქართველოსთვის“ - ვახტანგ ლაცაბიძე - 68 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ - მერაბ ტალახაძე - 350 ხმა.

**საღანძილე**

N1 - ,,მესამე ძალა“ - ალექსანდრე მეტრეველი - 20 ხმა;
N5 - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ლილი ბაბლუანი - 148 ხმა;
N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - საბა ბლუაშვილი - 19 ხმა;
N9 - ,,ლელო“ - ხვიჩა გურგენიძე - 57 ხმა;
N25 – „გახარია-საქართველოსთვის“ - თეა გობიანი - 35 ხმა;
N37 - ,,თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)“ - მალხაზ ყრუაშვილი - 17 ხმა;
N41 - ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ - დავით კიკნაძე - 464 ხმა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად მოსახლეობის 57,52 %-მა კობა ლურსმანაშვილი აირჩია

2 ოქტომბერს გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერობისათვის ხუთი კანდიდატი იბრძოდა. გამარჯვება ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელმა კობა ლურსმანაშვილმა მოიპოვა. ლურსმანაშვილს ნდობა არჩევნებზე მისული მოსახლეობის 57,52 %-მა (7011 ხმა) გამოუცხადა.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, ხმები ასე გადანაწილდა:

დავით მაღლაფერიძე- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“- 3255 ხმა (26,7%);

მიხეილ ჭიპაშვილი- ,,ლელო“- 851 ხმა (6,98%);

ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი- „გახარია - საქართველოსთვის“ - 816 ხმა (6,69%);

ლია ფცქიალაძე- ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 256 ხმა (2,1 %).

მიღებული ხმების რაოდენობა უბნების მიხედვით:

**დაბა ხარაგაული**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 161 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 34 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 87 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 49 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 390 ხმა.

**პატარა ხარაგაული**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 125 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 14 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 30 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 43 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი -282 ხმა.

**ბაზალეთი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 91 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 7 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 11 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 31 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 303 ხმა.

**ბორითი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 162 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 6 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 23 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 18 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი -250 ხმა.

**მაქათუბანი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 37 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 3 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 6 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 13 ხმა

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 41 ხმა.

**საქასრია**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 107 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 5 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 5 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 9 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი -150 ხმა.

**უბისა**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 79 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 5 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 4 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 12 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 94 ხმა.

**ვარძია**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 205 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 7 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 31 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 29 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 471 ხმა.

**ვახანი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 85 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 8 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 35 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 8 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 271 ხმა;

**ზვარე**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 206 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 12 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 11 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 4 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 258 ხმა;

**კიცხი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 183 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 16 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 41 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 28 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 349 ხმა.

**თეთრაწყარო**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 22 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 2 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 6 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 49 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 174 ხმა.

**ლაშე**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 99 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 16 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 18 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 34 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 259 ხმა.

**ლეღვანი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 76 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 7 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 37 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 16 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 211 ხმა.

**მარელისი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 46 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 2 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 58 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 10 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 95 ხმა.

**დიდვაკე**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 10 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 2 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 14 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 0 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 55 ხმა.

**მოლითი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 106 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 4 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 10 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 30 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 186 ხმა.

**დეისი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 34 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 5 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 4 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 13 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 50 ხმა.

**ქვები**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 47 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 4 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 12 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 12 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 111 ხმა.

**ნადაბური**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე- 53 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 3 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 9 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 9 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 151 ხმა.

**სარგვეში**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 41 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 4 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 7 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 4 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 146 ხმა.

**საბე**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 13 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 3 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 3 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 3 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 59 ხმა.

**საღანძილე**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 75 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 12 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 20 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 13 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი -176 ხმა.

**ვანი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 31 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 5 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 15 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 4 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 122 ხმა.

**ჩხერი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 51 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 3 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 8 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 14 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 95 ხმა.

**ფარცხნალი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 57 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 11 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 52 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 10 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 186 ხმა.

**ღორეშა**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 123 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 6 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 44 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 17 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 229 ხმა.

**წიფა**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 108 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 15 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 33 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 9 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი -240 ხმა.

**წყალაფორეთი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 158 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 6 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 48 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 30 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 258 ხმა.

**ხევი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე- 246 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 5 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 24 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 24 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 262 ხმა.

**ხიდარი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 111 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 2 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 15 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 90 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 194 ხმა.

**ხუნევი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 80 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 5 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 5 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 51 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 135 ხმა.

**ვერტყვიჭალა**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე- 96 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 7 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 24 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 85 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 239 ხმა.

**ჯაფაროული**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 24 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 4 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 11 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 6 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 76 ხმა.

**საქარიქედი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 38 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 4 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 17 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 4 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 101 ხმა.

**ისლარი**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 6 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 1 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 65 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 5 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 47 ხმა.

**გედსამანია**

N5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დავით მაღლაფერიძე - 58 ხმა;

N8 - ,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ლია ფცქიალაძე - 3 ხმა;

N9 - პარტია „ლელო“ - მიხეილ ჭიპაშვილი - 6 ხმა;

N25 – „გახარია - საქართველოსთვის“ - ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - 28 ხმა;

N41-პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - კობა ლურსმანაშვილი - 161 ხმა.

**გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ**

## ხიდარში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი გაეცნო



მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, სოფელ ხიდარში აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ზაზა გლუნჩაძის, საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მერის წარმომადგენელთან, გივი დოლიკაშვილთან ერთად მოინახულა.

ბეტონის საფარი ზაზა გლუნჩაძის უბანში გზის 300 მეტრ მონაკვეთზე დაიგო, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 60 ათასი ლარი დაიხარჯა.

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, უშუალო გადაწყვეტილებით, სოფელ ხიდარში ზაზა გლუნჩაძის უბანში, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი მონაკვეთი და მიხარია, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრა. ხიდარი, ისევე როგორც ხარაგაულის სხვა სოფლები, ნამდვილად მიიღებს ბევრ სიახლეს, ახალი პროექტების სახით. ხიდარში ჩვენ გვყავს მერის ახალი წარმომადგენელი გივი დოლიკაშვილი, რომელიც, ვფიქრობ, ზუსტად მოიტანს ჩვენამდე მოსახლეობის საჭიროებებს".- განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

## 2022 წელს ხარაგაულში ხუთი სოფლის გაზიფიცირება იგეგმება



2022 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დამატებით ხუთი სოფელი გაზიფიცირდება. ამის შესახებ განკარგულება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უკვე გამოსცა. ღარიხევი, წიფი, ქროლი, კიცხის იგორეთი, ლაშის იგორეთი-ეს ის სოფლებია, რომელთა გაზიფიცირება მუნიციპალიტეტში იგეგმება.

აქვე მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ხარაგაულში, ბუნებრივი აირი ჩაირთო სოფელ ფარცხნალში. მაგისტრალი უკვე მოწყობილია სოფელ ვარძიაში. საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირით შემდეგი სოფლები სარგებლობენ: ჩხერი, ბაზალეთი, ჯაფაროული, თეთრაწყარო, კიცხი, ლაშე, ისლარი, ახალსოფელი და ფარცხნალი.

## პროგრამა ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში ხარაგაულში სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

პროგრამა „განახლებული რეგიონების" ფარგლებში ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობებს რეაბილიტაცია უტარდებათ. გარდა ამისა, დაგეგმილია სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე სკვერების განახლება, რაც სრულიად შეცვლის და გაალამაზებს ხარაგაულის იერსახეს.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პროგრამა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, ინიციატივით, დაიწყო და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს.

პირველი ეტაპის სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია, რომელიც ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტისა და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების განვითარებას.



## ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა

განახლებული შენობითა და ინფრასტრუქტურით შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლეები. პროექტის ფარგლებში, შენობას სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა. გარემონტდა საკლასო ოთახები, კეთილმოეწყო ფასადი, სველი წერტილები, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო, რეკრეაციული სივრცე და ღია სპორტული ინფრასტრუქტურა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლა აღიჭურვა სრულიად ახალი ინვენტარით. სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა და, საერთო ჯამში, 2 500 000-ლარამდე დაიხარჯა.





ახლად რეაბილიტირებული სკოლა პირადად მოინახულეს და მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა პაატა კვიჟინაძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ.

,,საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწყობა არის უმთავრესი პრიორიტეტი ჩვენი ხელისუფლებისთვის, რომლის ფარგლებშიც წელს უკვე იმერეთში 7 ახალი სკოლა აშენდა და მოხდა 3 სკოლის სრული რეაბილიტაცია. რა თქმა უნდა, ჩვენ გავაგრძელებთ ამ პროცესებს, სანამ თითოეულ ბავშვს, როგორც სკოლის მოსწავლეს, ასევე, საბავშვო ბაღის აღსაზრდელს, არ ექნება ის პირობები, რაც მათთვის არის მისაღები და კომფორტული ", -აღნიშნა ზვიად შალამბერიძემ.

როგორც შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა განაცხადა, ხარაგაულში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურად ხორციელდება და დიდი ყურადღება ექცევა მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებას.



,,თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა ევროპულ დონეს შეესაბამება. მიხარია, რომ ხარაგაულელ ბავშვებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში უწევთ განათლების მიღება. რაც მთავარია, მუნიციპალიტეტში ასეთი ტიპის უკვე რამდენიმე სკოლა გვაქვს. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული და ორიენტირებულია განათლების სისტემის, ბავშვებისა და მასწავლებლების გაძლიერებისაკენ. ვფიქრობ, ეს ყველაფერი შედეგს გამოიღებს და ჩვენ გვეყოლება შესანიშნავი მომავალი თაობები."-დასძინა ხარაგაულის მერმა.

მაჟორიტარმა დეპუტატმა პაატა კვიჟინაძემ მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და ხაზგასმით განმარტა, რომ ყველა ბავშვი იმსახურებს კომფორტულ გარემოში სრულფასოვანი განათლების მიღებას.

,,ძალიან მიხარია, რომ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ვულოცავ ამ შესანიშნავ დღეს სოფელს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს და განსაკუთრებით - პირველკლასელებს. ნამდვილად დიდი ბედნიერებაა ასეთ სკოლაში სწავლა და იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში არა მარტო ხარაგაულში, არამედ მთელ საქართველოში ასეთი ტიპის თანამედროვე სკოლები გვექნება."

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორმა ლენა აბაშიძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ მასშტაბური პროექტის განხორციელებისათვის და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლება მუდმივად ზრუნავს მომავალი თაობის განვითარებასა და განათლებაზე.

,,სასიხარულოა დღევანდელი დღე. სრულიად ახალ, ევროპული სტანდარტების მქონე გარემოში განვაახლეთ სასწავლო პროცესი. სკოლაში ნამდვილად უმძიმესი მდგომარეობა იყო და მოხარული ვარ, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრა. მადლობა მინდა, გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ უდიდეს საქმეში წვლილი შეიტანა."

ამჟამად ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში 140 მოსწავლე იღებს განათლებას. შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა ერთ-ერთი წარმატებული და გამორჩეულია. მასწავლებლები მუდმივად ორიენტირებული არიან პროფესიულ განვითარებაზე, რაც აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტები.

სოფელ ვერტყვიჭალის სკოლა 330 ბავშვზეა გათვლილი.

## დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია უტარდება



დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აივნების რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და მოადგილე დავით დევდარიანი გაეცნენ.

ვარლამ ჭიპაშვილის განცხადებით, პრობლემა, რომელიც დიდვაკის მოსახლეობას აწუხებს, მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ძალისხმევით, გადაიჭრა და სულ მალე აქ მცხოვრებლები განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებენ.

,, ეს არის კიდევ ერთი კარგი მაგალითი იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურული მიმართულებაა. 2022 წელს საკმაოდ დიდი თანხების მობილიზებას შევძლებთ ამ კუთხით და ხარაგაულში არაერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდება. დიდვაკე არის დასახლება, სადაც მოსახლეობის მცირე რაოდენობაა, მაგრამ ჩვენი ოპონენტების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ჩვენ მხოლოდ პრობლემის სიმძიმეს ვითვალისწინებთ და არა ამომრჩეველთა რაოდენობას."-განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

დავით დევდარიანის ინფორმაციით, დიდვაკის დაზიანებულ მრავალსართულიან ბინაში ამ დროისთვის 19 ოჯახი ცხოვრობს. პროექტის ღირებულება 201 850 ლარია. სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიმდინარეობს და წლის ბოლომდე ადგილობრივები კომფორტულ და მოწესრიგებულ გარემოში შეძლებენ ცხოვრებას.

შეგახსენებთ, რომ დიდვაკეში ასევე დასრულდა სამსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის საერთო სარგებლობის კიბეების რეაბილიტაცია და ამჯერად მიმდინარეობს ხუთსართულიანი ბინის სახურავის შეცვლა.

აღნიშნული პროექტი ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 37 786 ლარით დაფინანსდა.

## ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობა დასრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების უმრავლესობა დასრულდა. საერთო ჯამში, მიმდინარე წელს დაგეგმილი 30 პროექტიდან 21 უკვე ჩაბარებულია. დარჩენილ ცხრა პროექტზე კი სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

ამჟამად დასრულებულია:

ვარძიის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 257 534 ლარი;

მოლითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 109 943 ლარი;

ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 358 885 ლარი;

ბაზალეთში ჭიპაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 196 404 ლარი;

საქარიქედი-ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 284 451 ლარი;

ვანი-ღუდუმექეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 108 649 ლარი;

წყალაფორეთში ბაღისა და გაბეხაძეების საუბნო გზების რეაბილიტაცია - 219 921 ლარი;

ახალსოფლის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 313 777 ლარი;

ბორითში გოჭოურის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი;

თეთრაწყაროში საუბნო გზების რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - 306 904 ლარი;

ბაზალეთში ნანიტაშვილების საუბნო გზის (მეორე ეტაპი) რეაბილიტაცია - 244 622 ლარი;



მაქათუბანში საუბნო გზების რეაბილიტაცია - 220 000 ლარი;

სარგვეშში ხვიჩა მუმლაძის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 97 300 ლარი;

უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 85 000 ლარი;

ლახუნდარაში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 108 500 ლარი;

კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 147 775 ლარი;

ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 97 900 ლარი;

ჩხერის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 31 458 ლარი;

ქვების გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 13 984 ლარი;

ვერტყვიჭალაში საუბნო გზების რეაბილიტაცია – 60 900 ლარი;

ღარიხევში ხელიურის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 191 528 ლარი;

სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ პროექტებზე:

ვარძიაში მესამე საუბნო გზის რეაბილიტაცია - 134 879 ლარი;

მარელისში ცისკაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 258 000 ლარი;

ვანისა და სხლითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 271 420 ლარი;

სარგვეშის საუბნო გზის (ცისკაძეების უბანი) რეაბილიტაცია - 329 646 ლარი;

დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აივნების რეაბილიტაცია - 201 850 ლარი;

ბორითში საუბნო გზების რეაბილიტაცია (გორგაძეებისა და ფაბრიკის უბანი) – 250 000 ლარი;

ლელვანში ქვიანთის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 200 000 ლარი;

ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია - 200 000 ლარი.

შეგახსენებთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პროექტები რეგიონული განვითარების ფონდიდან 5 521 191 ლარით დაფინანსდა.


### ვაკანსია

სს „ენერგო- პრო ჯორჯიას" ხარაგაულის მომსახურების ცენტრი აცხადებს ვაკანსიას ტექნიკოს-ელექტრიკოსის თანამდებობაზე.

საბუთები მიიღება 22 ოქტომბრის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 577 35 77 50.


გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

## ხარაგაულში ფოტოგამოფენა - „ჩვენ - 30 ამბავი" -მოეწყო

12 ოქტომბერს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ფოტოგამოფენა ,,ჩვენ - 30 ამბავი" მოეწყო, რომელიც ლევან ხერხეულიძისა და მწერალ არჩილ ქიქოძის მიერ პროექტ- ,,ბავშვები სტერეოტიპებით არ იბადებიან"- ფარგლებში მომზადდა.

აღნიშნულ პროექტს საქართველოში ,,გლადა ჰუდიკ თეატრი" შვედური ინსტიტუტის მხარდაჭერით ახორციელებს.

ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილი იყო 30 ადამიანის ცხოვრებიდან მოკლე ფრაგმენტები. გამოფენის მიზანი ინტელექტუალური განვითარების დარღვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპული აზროვნების შეცვლა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა იყო.

გამოფენის კოორდინატორი საქართველოში თამარ უჩანეიშვილია, რომელმაც ჩვენთან



საუბარში განმარტა, რომ აღნიშნულ პროექტში სულ სამი ქვეყანა: საქართველო, ლატვია და მაკედონიაა ჩართული. ,,საქართველო მეორე წელია, რაც ამ პროექტში ჩაერთო და უკვე ბევრი რეგიონი მოიცვა. იმერეთმა, განსაკუთრებით კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა, ნამდვილად აქტიურობით გამოიჩინა თავი და გვასახელა. მადლობა დაბის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგს, თეა ტალახაძესა და მის კლასს. სწორედ მათმა აქტიურობამ გადაგვაწყვეტინა, გამოფენა თბილისის ნაცვლად, ხარაგაულში მოგვეწყო. პროექტის მიზანია, მხარი დავუჭიროთ იმ ადამიანებს, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება და ჩვენი სტერეოტიპული ხედვაც შევცვალოთ."

თეა ტალახაძე, დაბის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი:

,,პროექტის ფარგლებში რვა აქტივობა გვქონდა დაგეგმილი და თითოეულ მათგანში ბავშვები დიდი სიხარულით მონაწილეობდნენ. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შვედურმა ფილმმა „რამდენი მოცვია ამქვეყნად," რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მონაწილეობდნენ. ვფიქრობ, ბავშვები ადრეული ასაკიდან უნდა აანალიზებდნენ, რომ საზოგადოება მხოლოდ ტიპიური განვითარების ადამიანებით არ შედგება. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებს ჩვენგან აღიარება და თანასწორობა სჭირდებათ. მომავალშიც სიამოვნებით გავაგრძელებთ ამ პროექტში მონაწილეობას."

აქვე გეტყვით, რომ, პროექტის ფარგლებში, ვანო არსენაშვილმა და ნინო ორჯონიკიძემ 5 ფილმი გადაიღეს. 4 ფილმი იმ ადამიანების ცხოვრებას ასახავს, რომელთა ფოტოებიც დღეს გამოფენაზეა წარმოდგენილი. ერთ-ერთ ფილმში დაბის მეორე საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეებიც არიან ჩართულნი.

შეგახსენებთ, რომ ფოტოგამოფენა ,,ჩვენ - 30 ამბავი" ხარაგაულის კინოთეატრში 28 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

მარიამ შარიქაძე

## ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი ხარაგაულში სპექტაკლებს გამართავს



ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა, პანდემიის გამო, ბოლო რამდენიმე თვეა, დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება ვერ შეძლო.

რა სამომავლო გეგმები აქვს თეატრს და როდის იხილავს მაყურებელი მონატრებულ დასს სცენაზე, ამის შესახებ თეატრის რეჟისორი ქალბატონი ირინე ჩხეიძე გვესაუბრა.

,,ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი საკმაოდ აქტიურად აგრძელებს მუშაობას. ბოლო პერიოდში სპექტაკლ ,,დარისპანის გასაჭირის" ჩვენებისთვის ვემზადებოდით. სპექტაკლი ჯერ ნუნისში, შემდეგ კი ბორითში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა ბათუმში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო, ღონისძიება გარკვეული დროით გადაიდო. გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს სპექტაკლ ,,ორნის" და ,,იმერული რეკვიემის" ჩვენება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოქტომბრის ბოლოს ხარაგაულის თეატრს აჭარის ტელევიზია და საზოგადოებრივი მაუწყებელი ესტუმრება. დაგეგმილია მაკა კუკულავას პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის ,,ორნის" ჩაწერა. აქვე გეტყვით, რომ ეს უკვე მესამე სპექტაკლი იქნება, რომელსაც ტელევიზია ჩაწერს.

განვაახლეთ სპექტაკლ ,,იმერული რეკვიემის" რეპეტიციები, რომლის ჩვენება ნოემბრის დასაწყისისთვის თბილისში, ტექნიკურ უნივერსიტეტში, არის დაგეგმილი. რაც შეეხება თოჯინების თეატრს, ნოემბრიდან ახალ სპექტაკლზე დავიწყებთ მუშაობას და, თუ პანდემია ხელს არ შეგვიშლის, პრემიერას ახალ წლამდე გავმართავთ." - აღნიშნა ირინე ჩხეიძემ.

მარიამ შარიქაძე

## საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი განახლდა

ხარაგაულის საბავშვო ბაღებში სასწავლო-საალმზრდელო პროცესი დაიწყო. რა სიახლეებით შეხვდა ახალ სასწავლო წელს ბაღების გაერთიანება, ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი გვესაუბრება.

,,სასწავლო პროცესი ხარაგაულის 21-ვე ბაღში კოვიდრეგულაციების სრული დაცვით მიმდინარეობს და უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად დაცულია. მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ბაღები ,,ჰასპის" მეთოდზე გადავიდნენ, რაც სურსათის უვნებლობის ახალი სტანდარტის დანერგვას გულისხმობს. ამ მიზნით, თანამშრომლები შესაბამის ტრენინგებს გადიან და ახლო პერიოდში, სურსათის უვნებლობის გაძლიერებული პირობები მუნიციპალიტეტის ყველა ბაღში დაინერგება. სიახლეა ისიც, რომ დაბის პირველი საბავშვო ბაღის ყველა ჯგუფში დამონტაჟდა ვიდეოთვალი და მშობლებს (დაინტერესებულ პირებს) შესაძლებლობა ექნებათ, ეკრანის საშუალებით დააკვირდნენ სასწავლო პროცესს. გარდა ამისა, შევიძინეთ ახალი სათამაშოები.

დაგეგმილია პედაგოგების გადამზადება. უკვე იბეჭდება სპეციალური წიგნები, რომლებიც დაურიგდებათ აღმზრდელებს. პარალელურად კი გაივლიან ტრენინგებს სწავლების ახალი სტანდარტების შესახებ.

აქვე გეტყვით, რომ ყველა ბაღისათვის მომარაგებული გვაქვს საშეშე მერქანი და ძალიან მალე შეშის ახალი ღუმელებიც გვექნება.

ავტობანის მშენებლობის გამო, ხევის საბავშვო ბაღის შენობა ნგრევას ექვემდებარება, ამიტომ მის ნაცვლად ახალი აიგება. პროექტი უკვე მზადაა და მშენებლობა 2022 წელს დასრულდება. მანამდე კი დავიქირავეთ კერძო შენობა, რომელსაც ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები და სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ადაპტირებულ გარემოში წარიმართა.

მოგახსენებთ, რომ მარელისში გვყავს სასკოლო მზაობის ჯგუფი, რომელიც განთავსდა დაწყებითი სკოლის გარემონტებულ ოთახში. ამ სოფელში საბავშვო ბაღის აშენება აუცილებელია, ამაზე აქ-



ტიურად მუშაობს ადგილობრივი ხელისუფლება.

დაგეგმილია ხუნევში ბაღის ახალი შენობის აგება. ამ მიზნით, ტენდერი უკვე გამოცხადებულია."-განმარტავს მამუკა ჭიპაშვილი.

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ხარაგაულის სკოლამდელი აღზრდის სექტორში 600 აღსაზრდელია რეგისტრირებული.

მარიამ შარიქაძე

## ხარაგაულში კულტურულ-საგანმანათლებლო წრეებმა მეცადინეობები განაახლეს

მოგეხსენებათ, რომ სასწავლო-საალმზრდელო პროცესი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დასწრებულ ფორმატში 4 ოქტომბრიდან განახლდა.

დაიწყეს თუ არა მეცადინეობები ხარაგაულში კულტურულ-საგანმანათლებლო წრეებმა, ამის შესახებ რამდენიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელს ვესაუბრეთ.

შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორი ლალი ალექსიძე ამბობს, რომ გასულ წელს საგაკვეთილო პროცესები თითქმის ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა. მიმდინარე წელს კი, სწავლება რეგულაციების სრული დაცვით, ოქტომბრიდან განახლდა. ამჯერად სამუსიკო სკოლაში 62 მოსწავლეა.

რაც შეეხება მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლს, დირექტორი მაია ბლუაშვილი აცხადებს, რომ ოქტომბრიდან მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ საგაკვეთილო პროცესებში და სამსახური სრული დატვირთვით მუშაობს. შეგახსენებთ, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არაერთი წრე ფუნქციონირებს, მათ შორის - სოფლებშიც.

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" საბიბლიოთეკო განყოფილების ხელმძღვანელი ნანა ლურსმანაშვილი გვეუბნება, რომ ამ ეტაპზე რეპეტიციები მხოლოდ ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა განაახლა.

შეგახსენებთ, რომ დასწრებულ ფორმატში საგაკვეთილო პროცესისა თუ ღონისძიების ჩატარებისას, კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, საჭიროა: პირბადე, ჰიგიენური ნორმებისა და დისტანციის დაცვა.

თამარ მაღრაძე

## ხარაგაულის რამდენიმე სკოლა ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადავიდა

საქართველოს მასშტაბით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთი თვის განმავლობაში, სწავლება დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. 4 ოქტომბრიდან კი სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში განახლდა, თუმცა, ეპიდვითარებიდან გამომდინარე, ხარაგაულის რამდენიმე სკოლა კვლავ



ონლაინ რეჟიმზე გადავიდა. როგორც ჩვენთან საუბარში ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე განმარტავს, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში მხოლოდ ორი საჯარო სკოლაა მთლიანად დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასული, ხოლო დაბის მე-2, ბორითის, ბორისა და ვაშლევის საჯარო სკოლებიდან, თითო კლასი.

რესურსცენტრის უფროსის თქმით, სკოლები მაქსიმალურად იცავენ დაწესებულ რეგულაციებს და მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ერთად ცდილობენ შეინარჩუნონ სიმშვიდე.

მარიამ შარიქაძე

## მუნიციპალიტეტში ფრენბურთის ჩემპიონატი გაიმართა

,,ევროპის სპორტის კვირეულის" ფარგლებში, ა(ა)იპ ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" ორგანიზებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფრენბურთის ჩემპიონატი გაიმართა.

ჩემპიონატი ახლად რეაბილიტირებულ მინი მოედანზე, ღია ცის ქვეშ, რეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა. შეჯიბრში მონაწილეობა ექვსი სკოლის გუნდმა მიიღო. შედეგების მიხედვით, პირველ ადგილზე დაბის მეორე საჯარო სკოლის გუნდი გავიდა. საუკეთესო მოთამაშედ ამავე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე თემურ გოლუბიანი დასახელდა.

გამარჯვებულებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები ა(ა)იპ ,,სპორტისა



და შიდა ტურიზმის ცენტრის" სამსახურის თანამშრომლებმა გადასცეს.

ცენტრის დირექტორის, გია ჭიპაშვილის, ინფორმაციით, სპორტის სხვადასხვა სახეობაში დაგეგმილია ჩემპიონატები, რომლებიც ეტაპობრივად განხორციელდება.

მარიამ შარიქაძე

## კიცხი-ზესტაფონის გზის რეაბილიტაცია იწყება

კიცხი-ზესტაფონი-ხარაგაულის საავტომობილო გზის 21-კილომეტრიან მონაკვეთს რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდერი უკვე დასრულდა.

გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შპს ,,New Road", რომელიც სამუშაოებს 14 288 888 ლარად შეასრულებს.

შეგახსენებთ, რომ პროექტი აღნიშნული მონაკვეთის სრულ კაპიტალურ რეაბილიტაციას ითვალისწინებს.



## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა მძიმდება

ქვეყნით მასშტაბით, მათ შორის, ხარაგაულში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა გართულდა. ბოლო რამდენიმე დღეა, მუნიციპალიტეტში ინფიცირებულთა რიცხვმა საკმაოდ მოიმატა.

ა(ა)იპ „ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორის, შმაგი ხიჯაკაძის, ინფორმაციით, ,,ხარაგაულში პირველი კოვიდ-ინფიცირების შემთხვევა 2020 წლის 14 ოქტომბერს დაფიქსირდა. დღეის მდგომარეობით კი 1495 დადასტურებული შემთხვევაა. სამწუხაროდ, 25 ადამიანი გარდაიცვალა. საკმაოდ ხშირია ბავშვებში ვირუსის დადასტურების შემთხვევები, რაც ნამდვილად საყურადღებოა. მუნიციპალიტეტში არსებული ბოლო სტატისტიკა შემაშფოთებელია. აუცილებელია, თითოეული ჩვენგანი აქტიურად ჩავერთოთ ვაქცინაციის პროცესში, დავიცვათ ჰიგიენა და ვატაროთ პირბადე,"-აცხადებს შმაგი ხიჯაკაძე.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტში ვაქცინაციის პროცესი აქტიურად ხორციელდება. მსურველებს შესაძლებლობა აქვთ, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ვაქცინა გაიკეთონ ხარაგაულისა და ბორითის კლინიკებში. ამჟამად ხარაგაულში სრულად ვაქცინირებული 1294 პირია.

რაც შეეხება ტესტირებას, ყოველდღიურ რეჟიმში ტარდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, ბორითისა და ხარაგაულის კლინიკებში.

აქვე გეტყვით, რომ უკვე რამდენიმე თვეა, ხარაგაულისა და ბორითის კლინიკები კოვიდპაციენტებს ემსახურება.




თამარ მაღრაძე

**გამომცემელი** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
**დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12**